

რუსული ენაში



საერთო უნიվერსიტეტი

მუსეუმი



გამცი 15.

№ 10.

შირაკ არსი:

3. მუზეუმის შემთხვევა	გვერდის სტარება მედვინეობაში	15
4. ნახუცრის შემთხვევა	ფილოსიურის მოდელები და მუზეუმის ვაზი	5
5. ალ. ჯალიაშვილი	მეფე ქარელ კადენდარი. აპრილი	9
6. ცხადაძე	ჭინჭარი ანუ წიგნიბეჭას ანთება (აპრილი)	12
7. კახელიძე	გვერდის გვერდის სახელმძღვანელოდ	14

კითხვა—პასუხი:

ა. როლოვი	პასუხი	15
განცხადება	16

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წარსულ წელს ჟურნალში დაბეჭდა წერილები შემდეგი პირებისა: — ახლ შეიღო ვ.,
ანაზდეული, ახალია ი., ბერება შვილი გ., გულბათიშვილი ვ., გვარმაძე გ., გორგო მაშვილი ვ.,
ელიაშვილი ზ., გაქტიშვილი ვ., თაქთაშვილი გ., თოიძე გ., იოსელიანი ე., გახელიძე ს., გარ-
ბელაშვილი ელ., კარალელი ვ., მაჩაბელი ა., მილიგნი ლ., შეველიშვილი ვ., ნახუცრაშვილი გ.,
ონიკოვი გ., როლოვი ა., რცხილიძე ვ., რცხილიძე სტ. ვ., რცხილიძე სტ. გ., ფურცელაძე ი.,
ფალავნიშვილი ლ., ქუთაელაძე ი., ქათამაძე ვ., ქარცივაძე მ., ყიფანი პ., ჩივაძე გ., ცხადა-
ძე გრ., ხუნდაძე ს., შავლივი პ., ქანაშვილი შ., ჯიქა ლ., გახელი შევენახე, ბეჭიონოვი ეჭიმი.
რედაქტორი მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საზურადლებლიდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ზარჯი სტატიებისა და კანცელარიისა, დანარჩენი
(თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პრიპორციულად მათი
ნაშრომისა.

დასაბეჭდიდ მიღებული წერილები შეიძლება რედაქტორიმ შეასწოროს და შეამოკლოს.
წერილები და კორესპონდენციები, რომელიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასა-
ბრუნებლად.

რედაქტორი მზეთ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეამავ-
ლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედე ყველა სამეურნეო ნაწარმოების
შექენა-გასა-ღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მზოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი
(ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს თრი შატრი.

წლიური აბონემეტებისათვის განცხადების ფასი რედაქტორისთვის შეთანხმებით.
განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იქმოს წარმოდგენილი.

რედაქტორ ჟურნალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის უფასოდ
დამატება-ბროშურას მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

ურნალი ფალიზადში ღირს ვ. მანეთი.

რედაქციის ადრესი: თიფლის, ბარათინსკა, 5. «МОСАВАЛИ».

რედაქტორ-გამომცემელი ვ. ი. რცხილაშვილი

გოგირდის ხმარება მედვინეობაში

ნამდვილი მეღვინეობა ნებას არ აძლევს მეღვინეს მიუმატოს ღვინოს რაიმე უცხო ნივთიერება, გარდა ისეთისა, რომელიც ღვინოს ბუნებრივ შემადგნელ ნივთიერებებს შეუნახავს და არას მიუმატებს (გარდა იმ შემთხვევისა როცა ღვინოში ვურევთ ღვინიდანვე ან ყურძნიდანვე მიღებულ ნივთიერებას) ისეთს, რაც ღვინოს იმ ტიპს არ შეუნახავს როგორიც იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მიმატება იქნება ნამდვილი ფალსიფიკაცია და არა ნამდვილი მეღვინეობა. გარდა ამისა მიმატებული ნივთიერებანი შემდეგ ღვინოზე ზედგავლენისა უნდა დაილექნენ და გამოსცალდნენ ღვინოს. ეს ასე რომ არ იყოს მაშინ მეღვინეობის მტრებს, ფალსიფიკატორებს, ნება მიეცემოდათ, გააფართოვონ თავიანთი ხელობა სადამდინაც სურთ. საუბედუროდ რუსეთში ამ ფალსიფიკატორების ასალაგმავად ჯერ არ არის შემუშავებული და გამოცემული კანონი და ვინ იცის როლის და რა ხასიათისა იქნება. სხვა სახელმწიფოებში-კი ასეთი კანონები დიდი ხანია მოქმედობენ. ამასთან იქ თვით საზოგადოებაც ებრძვის ფალსიფიკაციას.

მეღვინეობაში იხმარებიან შემდეგი ნივთიერებანი: გოგირდეული სიმევე (გოგირდის, ბოლი) სხვადასხვა ცილანი, ღვინის მარილი და სიმევე, ტანინი, ღვინის სპირტი და ზეგვირთი მინერალური ნივთიერებანი. გოგირდი იხმარება როგორც გოგირდეული სიმევე, რომელიც წარმოსდგება გოგირდის დაწვით. გოგირდეულ სიმევის შესა-

რევად ღვინოში სხვადასხვა საშუალებაა მიღებული მიხედვით იმისა თუ რომელ წყაროდან ვიღებთ მას. ერთი უბრალო ამ საშუალებათაგანი არის ცარიელ ჭურჭელში გოგირდის დაწვა და მერმე შიგ ღვინის ჩასხმა. როცა ჭურჭელში გოგირდი იწვება იმისი ბოლი, როგორც უფრო მძიმე ჰაერგვარი, ჭურჭელშივე რჩება და მალე არ ამოქმრის. ღვინოს რომ ჩავასხვათ შიგ იხსნება და ამ სახით ერევა ღვინოს.

ასეთი საშუალება ძველადვე არსებობდა. მეღვინეობაში იხმარება ფხვიერი გოგირდი კი არა ესე იგი რომელსაც ხმარობენ ვენახების შესაწამლავად, არამედ კაშტი, ანუ ლულა გოგირდი.

გოგირდი უნდა იყოს სუფთა, არ ერიოს დარიშხანა, რომელიც ხშირად ურევია ხოლმე ბუნებრივ გოგირდს. ამიტომ უველა გოგირდი არ გამოღვება, მეტადრე იაფ-ფასიანი, რომელიც გაწმენდილი არ არის დარიშხანისგან თუ ჭურჭელი დიდია, გოგირდი შეიძლება ჩავკიდოთ ჯამით და ისე დავწვათ შიგ წონით იმდენი არამდენიც გვსურს. ასეთი დაწვა მოსახერხებელია ქვევრში. კახეთში როცა ქვევრი ნაკლულათ რჩებათ გოგირდს უბოლებენ, რომ ჰაერმა ზედგავლენა არ იქმნიოს ღვინოზე. ეს რასაკვირველია ძალიან კარგია და ასეც უნდა, მაგრამ, ასე რომ ვსთქვათ, ტეხნიკური მხარე ამ აზრის განხორციელებისა კი არ უვარგათ კახელებს. აი რანაირად უბოლებენ გოგირდს: ნაკლულ ქვევრში ღვინოზე მოატივტივებენ ჯამით გოგირდს, მოუკადებენ

ცეცხლს, დახურავენ ქვევრს სარქვე-
ველს და მიაყრიან მიწას. გოგირდი იწვის
შიგ, მანამ არ გამოილევა მეტებადი ჰაე-
რისა, მერმე ჩაქრება. ასეთი ჩაბოლება
თუმცა ხერხიანი და კვერანურია, მაგრამ
ძალიან საშიშოა. ჯერ ერთი როცა ჯამი
ცხელდება ღვინის სპირტი იორთქ-
ლება და გოგირდთან ერთად იწვება,
ამ გზით ღვინოს სიმაგრე აკლდება.
მეორე—როცა ღვინო მიიზიდავს გო-
გირდის ბოლს, გარედან ჰაერი იწყებს
დენას ქვევრში, რაც სასურველი არ
არის, რადგან ჰაერმა უნდა გაატანოს
სარქვეველზე დაყრილ მიწას, რომელიც
საზოგადოთ უსუფთაოა, და შეიძლება
შეჰყვეს ქვევრში ღვინის დიმავადებელი
მიკრობები. ამასთან ეს ჰაერი ნეტია-
ნიც არის ხოლმე და გოგირდეულ სიმუ-
შესთან ერთად წარმოადგენს მყრალს ჰა-
ერგვარს, რომელიც უსიმოვნოც არის
და მავნებელიც, ამიტომაც არის საჭირო
რომ ცარიელი ქვევრი, მინამ ჩაუბო-
ლებდეთ გოგირდს, კარგად გამოშრეს.
(იხ. „მოსავალი“ 1910 წ. „ცარიელი
ქვევრის მოვლა). საზოგადოთ უნდა
ვსთქვათ რომ ნაკლული ქვევრის ჩაბო-
ლება არ არის სასურველი, მეტადრე თუ
ბევრი ღვინო აკლია ქვევრს. დიდ ბო-
ჩკებს გოგირდს უბოლობენ იმ კარგი-
დან, რომელიდამაც კაცი შედის გასა-
რეცხათ, ხოლო ეს მაშინ როცა დაავა-
დებულ ღვინოსთანა აქვთ საქმე. საზო-
გადოდ კი გოგირდს უბოლებენ ეგრედ
წოდებულ გოგირდის ჰატრუქებით.
გოგირდის ჰატრუქები კეთდება ქაღა-
ლდის ან რაიმე ქსოვილის ამოვლე-
ბით გამდნარ გოგირდში. გამდნარი
გოგირდი ეკვრის ქსოვილს თხლათ და
ერთნაირად და ამოვლების უმაღვე
შეხება. იმის და მიხედვით რამდენჯერ

არის ამოვლებული, ჰატრუქები და ქაღა-
ლი ან თხელი. თუ ქსოვილის წო-
ნა ვიცით, შეგვიძლიან ზედ მიკრული
გოგირდის წონაც გავიგოთ. დაახლოე-
ბით სიგანით $1\frac{1}{4}$ დუმიან და სიგძით 6
ვერშოკან ჰატრუქებს ცხელ გოგირდში
ამოვლებულს ერთხელ, 20—26 გრამი
გოგირდი ჰყვება ხოლმე საშუალოდ.
უნდა უსათუოდ ვიცოდეთ ჰატრუქების
წონაც, თუ გვინდა რომ ღვინოში გა-
რეული გოგირდის წონა გავიგოთ, რა-
საც დიდი მნიშვნელობა და ზედვაც ულე-
ნა აქვს ღვინოზე სხვადასხვა დროს და
სხვადასხვა მიზნის შისაღწევად.

გოგირდის გაღნობის დროს უნდა
მხედველობაში გვქონდეს იმისი თვი-
სებაც. როცა გოგირდი დნება იგი მა-
გარ ნივთიერებიდან გარდაიქცევა სი-
თხედ. დნობას გოგირდი იწყობს 114
და ამ დროს წარმოადგენს სითხეს, რო-
მელსაც დაპკრავს ყვითელი ფერი. შე-
მდეგ, თუ კიდე მოუმატებთ სითბოს
და ავიყვან 160°—200°, მაშინ გო-
გირდი მუქდება, სქელდება და შეიძ-
ლება ისე შეიკრას, რომ გაღმობრუ-
ნებულ კურჭლიდან არ დაიღვაროს.
შემდეგ, როცა ტემპერატურა 250-ს
გადასცდება გოგირდი ისევ დნება და
რო მიაღწევს 448°, დაიწყებს დუღილს
როგორც დუღს წყალი. მერმე რაც უნ-
და ახუროთ, ტემპერატურა მისი 448°
ზევით აღარ წავა და იდუღებს მანამ
სულ არ აორთქლდება. ჰატრუქების
გაკეთების დროს ეს თვისებანი უნდა
გვქონდეს მხედველობაში. გოგირდი
უნდა გაღნეს მაგრამ არ უნდა გაღას-
ცილდეს იმ საზღვარს, როცა იგი კარ-
გავს მოძრაობას და სქელდება, რასაც
ადვილად შევატყობით ფერზე. თუ და-
ვატყეთ რომ გოგირდი სქელდება,



ცეცხლიდან გადმოვდგათ, დავაცდით ცოტის გაცივდეს და ისევ გათხელდება. გოგირდი არც ძალიან თხელი უნდა იყოს, რომ ქალალდი კარგად ამოევ-ლოს.

მასალად გოგირდის პატრუქების გასაკეთებლად მე ვამჯობინებ უბრალო ქალალდს სხვადასხვა ქსოვილებთან შე-დარტყმით. როცა გოგირდის პატრუქი იწვება ჭურჭელში იწვის გოგირდთან ერთად ქალალდიც. ეს ბოლო გოგირ-დის ბოლოთან ერთად ერევა ლვინოს. ქალალდის ბოლს მატყლის ან ბაშბის ქსოვილების ბოლოთან შედარტყმით კი უფრო ნაკლებათ აქვს ცუდი სუნი.

ჩასაბოლებლად ავიღებთ ერთს ან რამდენიმე პატრუქს, ჩავკიდებთ ჭურ-ჭელში ზევითა ნახვრეტიდან და მოვუ-კიდებთ.

ჩასაკიდებლად ხმარობენ სქელა მრავალ თულს, რომელსაც ერთ ბოლოს უდიდეს მობმული სათითეს მზგავი სა-ლვენთი, ცოტა მაღლა მავთულს ურ. ჭვია ჩანგალი, რომელზედაც ჭკიდებენ პატრუქს. წვის ღროს ჩამონალვენ-თი გოგირდი ჩადის ზემოხსენებულ სა-ლვენთში.

ჩასაბოლებელი ბევრნაირია. ყველას აღწერას არ გამოუდგებით. დაუწვავი გოგირდი არ უნდა გაერიოს ღვინოს. მართალია გოგირდი ღვინოში არ იხს-ნება, მაგრამ ღვინო თუ აღულდა, ერთ-ნაირი ქიმიური ზედგავლენით გოგირ-დი გარდაიქცევა მყრალ პატრუქიდან (გოგირდის წყალმბადით H₂S), რომე-ლიც ცუდ გემოს და სუნს მისცემს ღვი-ნოს.

3. მჭედლოშვილი

(გაგრძელება იქნ. ბა)

ფილოქსერის მოკლე ისტორია და ამარიკული ვაჭი

(დასასრული*)

ნამყენი ვაზის მსხმილის მიზის დამზადება

ნამყენი ვაზის მსხმილისარობა და იმისი ხანგრძლივი სიცოცხლე, მხოლოდ მი-წის წესიერად დამზადება-დამუშავება-ზედაა დამოკიდებული. ცხადია, რომ მიწა არც ღრმად იქნება გაფხვავერებუ-ლი, იმდენად ვაზის ფესვებიც ღრმად წავლენ მიწაში, სადაც საზრდოსაც ბლომად იშოვნიან და ყინვა-სიცივისა-განაც თავს შეინახვენ.

კარგად დამუშავებულ მიწას დიდი სარგებლობა მოაქვს აგრედვე იმ და-ჩაგრულ ნამყენებისათვის, რომლებიც სანერგებში ყოფნის ღროს კარგად ვერ

შედუღლდნენ და ფესვებიც ნაკლებად გამოიტანეს. ეს ავადყოფი მცენარეე-ბი ფხვიერ და ნოკაერ მიწაში ხელ-ახლა იკრებენ ღონეს, ნამყენის ადგი-ლი უდუღლდებათ, თამამდებიან და სხვა საღ ძირებს მალე წამოეწევიან ხოლმე. საზოგადოდ ნამყენ ვაზს პირველ ორ წელიწადში დიდი ფერობა უნდა, მაგ-რამ ჩვენდა სამწუხაროდ ბევრმა არ იცის მათი წესიერი დარგვა და მოვლა. მიზეზიც ეს გახლავთ რომ მეტი წილი ჩვენი გლეხკაცობა დღესაც უნდობის თვალით უყურებს ნამყენ ვაზს. ხში-რად გამიგონია სოფელში: „რა ჩვენი საქმეა ნამყენი, ძნელი სახეირებელიც არის და დიდხანსაც არა სძლებს“-ო. ეს იმისათვის ხდება, მკითხველო, რომ

*) იხილე „მოსახლი“, № 6.

გლეხი ყიდულობს 100—200 პირ ნამყენს, მიაქვს თავის მამულში და მისი დარგვა და მოვლა კი არ იცის. ბოლოს, როდესაც ვაზი იწყობს გახმობას, უვიცი მამულის პატრონი მარტო ნამყენის უვარებისობაში ჰქედავს ამის მიზეს; იმერჩებს ზემო მოყვანილ სიტყვებს და ამნაირად გულს უცრუებს თავის მახლობელ მეზობლებსაც.

ამ არა სასიამოვნო მოვლენის თვილან ასაცილებლად ურიგო არ იქნება რომ სახელმწიფო სანერგებში, რომლების პირდაპირი მიზანი მხოლოდ საღი ნამყენი ვაზის გავრცელება, სანერგის გამგეს გარდა იყოლიონ კიდევ მცოდნე კაცებიც, რომლებსაც შეძლებათ ამ ახალი საქმის შესახებ შესაფერი ცოდნის და დარჩების შეტანა ხალხში.

ამ ფამად სანერგეს გამგე მარტო იმასა ცდილობს, რომ ნამყენები დროზედ გააკეთოს და გაყიდოს, ესე იგი სანერგებზე უფრო კომერციულ დაწესებულებას ემზგავსებიან. ვგონებ მიზეზიც ეს უნდა იყოს რომ კახეთში და მეტადრე ქართლში, სადაც ფილოქსერამ კენახები მთლად მოსპო, ნამყენის გავრცელება დღესაც პატარა ნაბიჯით მიდის წინ. ამასთანავე ამ ბოლო ხანებში ბევრ კერძო პირებს აეშალათ ფულის მოგების სალერლელი, დიდის ფაცა-ფულით ყიდულობენ ამერიკულ ვაზის რქას და ჰმართავენ სანერგებს. რა თქმა უნდა ამ კერძო პირების მიზანი მარტო ჯიბის გასქელება იქნება: მარტო იმის ცდაში იქნებიან, რომ თავიანთი ნამყენი ვაზი კარგ ფასებში გაასაღონ მუშტარზედ და მეტის სიხარბით კარგ საქონელს ავსაც გააყოლებენ. ამის მაგალითი იმერეთშიაც მიავალი ყოფილა.

დარწმუნებული ვარ რომ უნდა მოებაც შემდეგში დიდ უნდობლივას დაპირავს გლეხებში და რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ და ვსწერთ მხოლოდ ქაღალდზე დარჩება დაწერილი და ხალხი კი არაფერს ვამოიყენებს.

ჩემის აზრით ამ გარემოებასაც აღვილად ეშველება თუ ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ყურს არ მოიყრუებს და რაიმე კონტროლს დაუნიშნავს ზემოხსენებულ სანერგებს.

დაუბრუნდები ისევ მიწის დამუშავებას.

ყველანირი მიწა როდი ითხოვს ღრმათ გადაბრუნებას, მაგალითად ნოკიერი და ნესტიანი მიწა საკმარის სამჩარექზედ გადაბრუნდეს, ღარიბი და მშრალი მიწები კი უფრო ღრმათ. ქვიშნარი მიწა, მაგალითად, რაც უფრო მეტ სილრმეზე იქნება (ხუთ ჩარექამდე) გადაბრუნებული იმდენად უმჯობესია

გარდა მიწის გაფხვიერებისა საჭიროა იზრუნოთ იმის გაპატივებაზედაც, თუ კი ეს საჭიროა მისთვის

მიწის დამუშავების უკეთეს დროთ შემოდგომა უნდა ჩაითვალოს: ერთი სიტყვით მიწის ვადაბრუნება უნდა მოასწროთ ვინემ ზამთრის ყინვები დაიწყებოდეს. უკეთუ თქვენ აღგილში ქვიშნარი მიწაა, მაშინ იმის გადაბრუნება გაზაფხულზედაც შეგიძლიანთ.

რაც შეეხება ვაზის დარგვის დროს, ეს დამოკიდებულია აღგილობრივ პირობებზედ. თუ თითონ მიწა მშრალია და ამასთან ზამთარიც თბილი იცის, უშიშრად შეგიძლიანთ, დარგვას შემოდგომიდანვე შეუდევთ. წინააღმდეგ შემოხვევაში, უკეთესი იქნება ეს სამუშაო გაზაფხულისათვის გადიდოს.

კიდრე დარგვას შეუდგებოდეთ, სა-
ჭირო გადაბრუნებული მიწის მოსწო-
რება, ამისათვის შეგიძლიან იხმაროთ
კაბლი ან ქართული ფარცხი. რო-
დესაც მიწას მოასწორებთ, შემდეგ სა-
ჭირო თოკით ხაზები გაავავლოთ
და დანიშნოთ ვაზის დასარგველად
წკრები.

რაც შეეხება იმას, რა სიგრძე-სიგა-
ნე უნდა ჰქონდეს ვაზის წკრებს, ეს
დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებ-
ზე. მაგ. ღონიერ ჯიშის ვაზს, უფრო
შორიშორს რგავენ. კიდრე სუსტი ჯი-
შისას, აგრედვე თუ მაწა ღონიერია,
მაშინაც უნდა შორი-შორს დარგოთ,
ვინემ ღარიბ მიწაში. საზოგადოდ რაც
ვაზი შორი-შორს იქნება, თუნდსუსტი
ჯიშისა იყოს თუნდ ღონიერი, მაინც
უმჯობესია.

შორი-შორს დარგული ვაზი დასა-
მუშავებლათაც ადვილია როგორც
ხელით ისე გუთნით და ამასთან სით-
ბო-სინათლეც თავისუფლად მოხვდება
მთელ ვაზის სხეულს და საუკეთესოთ
დამწიფებს ყურძენს.

ჩვენებურ ჯიშის ვაზისთვის ვისაც
კი ადგილი არ ენანება უმჯობესია 2
არშ. სიგანე მისცეთ ვაზის წკრეს,
შოლოდ ვაზიდან ვაზამდის კი $1\frac{1}{2}$ არ-
შინი.

ვაზებს რგავენ ორნაირი წესით: შახ-
მატიურად და ან კვადრატის წესით. უფ-
რო კი ხშირად პირველს წესს ხმარობენ,
რადგან შახმატიური წესით დარგვას
დროს ვაზიც მეტი თავსდება და მზის
სხივებიც თანაბრივ ჰქვდება თითეულ
მცენარეს. ვაზის წკრებს უსათუოდ
ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ უნდა
მისცეთ მიმართულება. როდესაც ვა-
ზებს გაავლებთ და დასარგველ ადგი-

ლებს დაპირიშნავთ, შემდეგ ორმოები
უნდა ამოილოთ. ორმოს სიორმე-საგანგ
თქვენვე ადვილათ შეგიძლიან მოისა-
ზროთ. როდესაც ორმოები მზათ
გაქვთ, შეუდგებით ნამყენი ვაზის
დარგვას. დარგვამდის საჭიროა ნამყე-
ნებს ფესვების წვერები ცოტათი წაა-
ჭრათ და ისე შეუდგეთ დარგვას.

ნამყენი ვაზი ისე უნდა ჩასდოთ
ორმოში, რომ მისი ნამყენი ადგილი
ცოტა დასცდეს მიწის ზედაპირს.
ამასთანავე საჭიროა ფესვები გაუსწო-
როთ და შემდეგ ისე მიაყაროთ მიწა. როდესაც
ორმოს ამოავსებთ, ონაც შემოუტკეპნით კიდეც. დარგვის დრო-
სვე, უკეთესი იქმნება, რომ მეორე
მუშაც ფეხდაფეხ მოგყვეთ და მიწა
შემოაყაროს ნამყენს. ეს იმისათვის
რომ ნამყენის ადგილი არ გამოშრეს.
საზოგადოდ საკმარისია მიწა სამოთხ
ვერმოკას სისქეზე მოეყაროს, მხო-
ლოდ ამ მიყრილ მიწაში ქვა-ლორელი
არ უნდა ერიოს, რადგან კვირტის
გალვიძების დროს ნამყენის ყლორტი
თავისუფლად ვეღიარ იმოდის მიწიდან
და ხშირად ძირშივე ტყედება. ვაზის
დასარგვათ უკეთესი იქმნება გრილი
დღე შეურჩიოთ. როდესაც დარგვას
და მიწის შემოყრისაც მორჩებით, შემ-
დეგი თქვენი ზრუნვა ის უნდა იყოს,
რომ ახალშეში ბალახი არ მოერიოს.
როდესაც ნამყენი ვაზი ამოიხეთქავს
და ყლორტები კარგად ასცდებიან
მიწის ზედაპირს, მაშინ მეტ ყლორ-
ტებს ჩამოაშორებთ, შეარჩენთ მხო-
ლოდ ორს. მავე ღრიოს ფრთხილად შე-
მოუთხრით მიწას და ნამყენ ალაგს
გაუსინჯავთ; თუ ამ ადგილს ახალი
ფესვები გამოუტანია, ესენიც უსათუოდ
უნდა მოაჭრათ. უჩიგო არ იქმნება

შემოდგომამდის ერთი ორჯელ კიდევ გასინჯოთ, რომ ნამყენ ადგილის ფესვი არ გაეზარდოს, თორემ ამერიკული ვაზის ფესვები ვეღიარ გათამამდებიან საკმარისად და უცურადლებოდ მიტოებული ნამყენი ბოლოს ისევ ჩვენებური ვაზის ფესვებით დაიწყებს საზრდოობას და ფილოქსერისაც ეს უნდა, მაშინათვე დასახლდება ჩვენებურ ვაზის ფესვებზედ. აქედან ცხადია რომ მოუვლელი ნამყენი ვაზი სულ მთლად დაჰკარგავს თავის დანიშნულებას.

გარდა ამისა, ორიოდე სიტყვა ნაჩენენი ვაზების ფესვების დაჭრაზე მინდა ვსთქვა.

ამ სამი-ოთხი წლის წინეთ აღარანის სანერგეს გამგეს ბ-ნ ვარაჯევს საცდელიათ რამოდენიმე ასი ძირი ნამყენისათვის სულ ძირში დაუკრია ფესვები და შემდეგ ისე დაურგავს ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ თითონ ვაზებიც სუსტად ყოფილან შედუღებულნი. მშვენივრათ უხარისიათ, შედუღებითაც კარგად შედუღებულან და ლონიერი ფესვებიც გამოუტანიათ.

დასარწმუნებლად მე თითონ წაველ სანერგეში, ვნახე და ყოველივე ეს მართალი გამოდეა.

ბ-ნ ვარაჯევს სოფელშიაც გაუმეორებია ეს ცდა და ყველგან საუკეთესოთ უხარისიათ. ჩემდა დასარწმუნებლად მე თითონ დავრგე ატენის მამულში შარშან 100 ნამყენი ვაზი ფესვებ დაჭრილი ძირადე და ყველამ ჩინებულათ იხარეს. რამოდე-

ნიმე ცალი წლეულ გაზაფხულზე ამავე ვიღე გასასინჯათ და ჩემდა საბედნიეროდ უფრო დავრგებული ამ ახალი წესის სარგებლობაში.

ამის მნახავი წლეულ უფრო გაბეჭულად მოვიქეც და 500 ნამყენი ვაზი დავრგე ძირადე ფესვებ დაჭრილი და ველი, როგორ იხარებენ. საქმე იმაშია, რომ ამნაირი წესით დარგულ ვაზს ბევრი კარგი შხარე აქვს. ჯერ ერთი რომ ახლად გამოტანილი ფესვები თავისუფლად მიღიან მიწაში. წაუჭრელი ფესვები კი მიწის მიყრის ღროს იგრიხებიან და ვერ ღებულობენ შიწაში ჯეროვან მიმართულებას.

მეორე—ფესვების დაჭრა დიდად ააღვილებს ვაზის დარგვას, რაღაც ამ შემთხვევაში ორმოების ამოლება აღარ არის საჭირო, არამედ კმარა ხის ან რკინის პალო იხმაროთ, რომლის საშუალებით გაცილებით მარდათაც კეთდება საქმე და ერთი-ორად იაფადაც ჯდება.

მესამე—ფესვებ დაჭრილი ვაზით დარგული წკრეებიუფრო სწორე იქმნება, ვიდრე ორმოებში დარგულისა, რაღაც ორმოებში ვაზის დარგვის ღროს, როდესაც მიწას აყრით, ისე არ იქნება რომ ვაზი ცოტათი მაინც არ გამრუდდეს.

ამაზე მეტს დღეს ვერას ვიტყვი. მომავალ შემოდგომაზე კი უფრო მეტი საბუთი მექნება ვრცლად მოვილაპარაკო ამ საგანზე.

გ. ნახუცრიშვილი



გეოგრაფიული კალენდარი

(დასასრული *)

აპრილი

საკვებავის მომზადება. — ფუტკრების კმევა საჭიროდ ხდება ერთი მაჟინ, როდესაც ფუტკარს ელევა საზრდო და მეორე — როცა პირდაპირ მეტი თაფლი გვინდა გავაკეთებინოთ. ამიტომ საკვებავიც უნდა მომზადდეს ამ ორი მიზნით: ნაკლები სარჩოს შესავსებლად უფრო სქელი საჭმელი უნდა, თაფლის მოსამატებლად კი უფრო თხელი.

სარჩოს შესავსებლად სასურველია თაფლივე ვიშმაროთ, თუ გვაქვს, თუ არა და სქელი შარბათი უნდა მივცეთ შემდეგის წროპორციით: ერთ ბოთლი წყალზე დ უნდა ავიღოთ 3 გირვანქა შაქარი და 1 გირვ. თაფლი. ეს სითხე უნდა წამოვადულოთ, რომ თაფლი და შაქარი წყალში კარგად გაიხსნას. როდესაც გვინდა მეტი თაფლი გავაკეთებინოთ ფუტკარს, ღალა გავაზღვინოთ, საჭმელი უნდა ავიღოთ 6 გირვ. შაქარი, 1 გირვანქა თაფლი, 3 ბოთლი წყალი და მივუმატოთ ამას ერთი ჩაწება დაფქული მარილი.

საჭმელი ყოველ შემთხვევაში ფუტკრებს ცოტად შემთბარი უნდა ეძლიოს.

საკვებარები. — დღეს მრავალგვარი საკვებარებია ხმარებაში, მაგრამ უმეტესი მათგანი ბევრისათვის ხელმისაწმომი არ არის ჩვენ საკვებარად ვარჩევთ ჩვეულებრივ რგვალ ჭიქებს, ან კიდევ წვრილ შუშის ქილებს, რომელიც თითქმის ყველა მეფუტკრეს მოე-

ჰოება. ამნაირ ჭურჭელს ივაგსებთ შარბათით, მოვაკრავთ პირზე თხელს ტილოს, ან ძაბას და გადმოვაპირქვავებთ ცარიელს თევზედ. პირველად სითხის რამდენიმე ნაწილი საკვებარიდან წამოიღვრება, მაგრამ გარეშე ჰაერის ზედგავლენით სითხის უონვა მაღლებრებია. შემდეგ ავტიკით სკას სათბუნებელ ბალიშს და მოვათავსებთ საკვებარის ტილოს ზემოდან, რომელიც ხელისგულის ტოლად ადრევე უნდა იყოს ამოჭრილი იმ ადგილის, სადაც ფუტკარი ბუდობს. საკვებავს ფუტკრები თავისუფლად გამოსუტავენ ქვემოდან. მეფუტკრე ძალიან კარგს იზამს თუ ამოჭრილს აღვილზედ ჯერ მავთულის ბუდეს დატანს და მერე საკვებარს დასდგამს ზემოდან. ეს იმიტომა კარგი რომ ცარიელი ჭურჭელის აღების დროს, რომელიც უეჭველად ადრე დილაობით უნდა მოხდეს ხოლმე, საკვებარს ფუტკრები თან აღარ აპყვებიან და სიცივით აღარ დაითიშებიან. ასეთი ბადე ლირს არშინი 40 კაპ., რომელიც, ნაკერ-ნაკერ რომ დაიჭრას, თითქმის გთელს საფუტკრეს ეყოფა.

ღალის გასადიდებლად ფუტკრებს საჭმელი პირველ ხანებში ცოტ-ცოტობით უნდა ეძლიოს, — ჯერზე გირვანქის მეოთხედამდე, — მერე კი თანდათანობით მოემატება. შიმშილით გამოწვეულ ჭმევის დროს კი საჭიროა ფუტკარს საჭმელი მოზრდილი ჭურჭელით ეძლეოდეს. ერთბაშად საზრდოს მიცემა იმითაც კარგი, რომ ასეთ შემთხვევაში ფუტკარი ამ საზრდოს სამერ-

*) იხ. „მოხავალი“ № 9.

მისო სახშარად ჰზოგავს, ხოლო ცოტ-ცოტაობით ჭმევა კი—ხელს უწყობს უხვ კვერცხის დებას, ახალთაობის სწრაფ გამრავლებას.

მეფუტკრეს მტკიცედ უნდა ახსოვ-დეს, რომ დღისით არაოდეს და არა-ფრის მოსაზრებით არ გაძელოს სკაში თაფლიანის რისამე მიცემა, თორემ ქურდობას ვერ გადაუჩება. ამისათვის საღალეო ჭმევაც უეჭველად დამლამო-ბით უნდა ხდებოდეს: საჭმელი დაბინ-დებისას ეძლიოს და დილდილობით, ვიდრე ფუტკარი გამოიშლება სამუ-შაოდ, ჭურჭელი უკანვი ამოეცალოს, მიუხედავად იმისა—სრულებით დაც-ლილები იქნებიან იგინი, თუ არა.


სიდამპლე.—უწინ ჩვენი მეფუტკ-რება სრულებით არ იცნობდა ამ სენს. როგორადაც ვაზის სხვადასხვა გვარი ავადმყოფობა—ფილოქსერა, ობი, ნაცარი, ბლექროტი და სხ., უცხოე-თიდან მოგვევლინა და უწყალოდ მუსრს ადენს ჩვენს საფუტკრებს.

მეცხრამეტე საუკუნემდე კარგად არ იყო გამოკვლეული—თუ საიდან წარ-მოსდგება სიდამპლე და მისი გადამდებ-ლობა. მაგრამ 1885 წელს კი ინგლი-სელმა მეცნიერებმა—ჩეშაირმა და ვას-ტონ—ჩაინმა საბოლოოდ გამოიკვლიეს რომ ეს ავადმყოფობა წარმოსდგება ერთგვარი თვალთუხილავი ჭიებილან, რომელთაც უწყოდეს ალვეის ბაცილა (Bacillus alvei), და რომელიც ისეთივე სწრაფ გადამდები სენია, როგორადაც ხოლო და სხვა ამგვარი სახადი.

სიდამპლით ავადა ხდებიან დიდი ფუტკრებიც და ბარტყიც, ასე გასინ-ჯეთ თვით კვერცხიც კი, თუ იგი ავადმყოფი დედისაგან არის დადებუ-ლი. ყველაზე მეტს სიმკაცრეს ეს სენი უფრო ბარტყზე იჩენს.

ნიშნები. საღი ფუმფლა (ზარტყი) ძალზე თეთრია, მარგალიტის ფერისაა. ნამგალსავით არის მოხრილი და წევს თავის აკვანში —უჯრაში. მისი ზრდა და უჯრიდან გამოჩეკა—გამოსვლა ყო-ველთვის წესიერად მიმდინარეობს. ხოლო როდესაც იგი სიღამპლით ხდება ავად, მაშინ კი ჯერ ყვითლდება, სი-ყვითლე თანდითან მიხაკის ფერი ხდება, კანი გამჭვირვალე აღარ არის, სიკვდილის წინ მთლად იჭიმება უჯრის ქვემოთა კედლის სიგძეზე და კვდება. ამ სენით დაღუპილს ფუმფლას ფუტკრები ახლოს არ ეკა-ჩებიან, მკვდრებს სკიდან კარზე არ ეზიდებიან, როგორც სხვა დროს. ამისათვის დახოცილები უჯრაშივე ლპებიან და იყენებენ სკაში ამყაყე-ბულს სუნს. რამოდენიმე ხნის შემ-დეგ დამპალი ფუმფლა შავად ხმება, მტვრად იქცევა და ბოლოს უჯრაში მხოლოდ მისი გარე კანილა რჩება. თუ რომ ეს სენი ფუმფლას თოჯად ქცე-ვის ხანაში დაემართა, ფუტკრები ასეთს ფუმფლას ბეჭდავენ, მაგრამ საბრალონი მალე გადაბეჭდილ ჭერის ქვეშვე იხო-ცებიან და ლპებიან. რამოდენიმე ხნის შემდეგ უჯრების სახურავები, რომლე-ბიც აქნობამდე სწორე ფიცარსავით იყვნენ გადამბულნი, ეხლა იზნიქებიან უჯრებში, უწესო ფორმას იღებენ, ხშირად უსწორმასწოროდ იხვრი-ტებიან. ასეთი ბარტყი, რომელსაც უკვე მუქი მიხაკის ფერი მიუღია, რომ ამოილოთ და გაშინჯოთ, შენი-შნავთ რომ მისი სხეული მჭიდროთაა მიკრული უჯრის კედლზე, და თუ ჩინჩით ან ქინძისთვით ეცდებით უჯ-რიდან მის ამოღებას, მატლის ნაცვ-ლად იქიდან გაძაფული სქელი სითხე ამოდის, რომელიც წააგავს ოდნავ გა-ციებულს საღურგლო წებოს.

ავადმყოფი სკის მოსახლე ფუტკრები პარგავენ მუშაობის ხალის და მის ნაცვლად პარენის გაწმენდის საქმეს-ლა ჰმუყაითობენ.



არხიპენკოს ლამპარი შესაგება.
ცილინდრისაგან — А, რომელშიაც მო-
თავსებულია სპირტის ლამპარი — Б, და
მის ზევით — პატარა სპილენძის ქვა-
ბი — Г, ქვაბის პირში იღგმება სპი-
ლენძასავა გვერდებ და ხვრეტალი ჯა-
მი — Д, ყველა ამ-ს ზემოდან მციდ-
რად ერურება ხუფი — Е, რომელსაც
მობმული აქვს ორთქლის გამტარე-
ბელი რეზინის მილი — Ж, თავისი სპი-
ლენძის საცერით — З.

თუ წამლობის ტროს თხელს ფორ-
მაცლისა კემარობთ, შაშინ ამ უკანას-
კელს პირდაპირ ქვაბში ჩავასხავთ,
და თუ ფორმაციის კვერებს, — მაშინ
ქვაბს ავაგებთ წყლით და კვერებს
კი მოვათავსებთ ჯამშა — დ.

ადულებული ორთქლი ქვაბ დან
გადმოდის ჯამში, აქედან რეზინის
მილის და მისი საცერის საშუალებით,
რომელიც უნდა შეეყოს სკის მისა-
ფრეში, ეს ურება ავადმყოფს ღვაას.

შესხურება უნდა გაგრძელდეს არა
უმეტეს 5—8 წუთისა.

წამლობა. — ამ ავადმყოფობის წინა ალმდევ ძალიან კარგი სახელი გაითქვეს ჩვენში ბ-ნ გორგაძეობის წამლობაში, რო-
მელიც მდგომარეობს შემდეგში: უბირ-
ველეს ყოვლისა 21 დღით დედა ფუ-
ტკარი უნდა დაიმწყვდეს მავთულის
კოლოფში, რომ მით კვერცხის დება
მთლიად შესწყდეს სკაში. შემდევ მთე-
ლი ამ 21 დღის განმავლობაში არხი-
პენკოს ლამპარის საშუალებით ავად-
მყოფს სკას უნდა ვუღრჩოლოთ ოც
პროცენტიანი (20%) ფორმალინით,
რომელიც იყიდება აფთიაქებში გა-
მოცხვარი კვერცხებითაც და თხე-
ლიც. ფორმალინის ორთქლით ღრჩო-
ლებასთან ერთად ფუტკარს უნდა ეძ-
ლიოს საჭმელად შაქრის შაბათი,
შეზავებული ფორმალინითვე (თითო
ჭიქა შაბათზედ 10—12 წვეთი 20%—
ანი ფორმალინი). ოცდაერთი დღის
შემდევ ფუტკრებს გადავსხავთ სუფთა
სკაში, რომელშიაც იძრევე გვექნება
ჩაწყობილი სალი ფიჭები, და მივცემთ
ახალს დედას. ამ სკასაც 7—10 დღემდე
დასკირდება ფორმალინის ორთქლით
დაღრჩოლება.

ძევლი ფიჭები დაუყოვნებლივ უნდა
დაიშალოს და თვითვეულ ნაჭერს დე-
ზინფენჯურია გაუკეთდეს.

სიდამპლეს ძალიან წააგავს ერთგვარი
ავადმყოფობა, რომელსაც მჟავე ფუზ-
ფლას უძახიან. გარეგნული ნიშნები
ამ ორს ავადმყოფას თათქმის ერთი
და იგივე აქვთ; მარტო განიღევიან
იგინი შემდევში: როდესაც ამ სენით
იღუპება ახალგაზდა, გადაუბეჭდაკი
ბარტყი, მაშინ მისი გახრწნილი სხეუ-
ლი უჯრის ქვემოთა კედლებზედ-კი
არ ეკრიება. როგორც ეს სიდამპლის
ღროს შევნიშნეთ, არამედ თვით უჯ-

როს ძირზედ იხვეტება. დამპალს სი-
თხეს არც ისეთი ამყრალებული, შემ-
ზარავი სუნი უდის,—ეს უფრო ძმრის,
ან დამპალი ვაშლის სუნს წავავს.
ამის გარდა ეს სიოხე ნამეტანი თხე-
ლიცაა, ჩეირით რომ შევეხოთ, სრუ-
ლებით არ იძაფება. ამ ავადმყო-
ფობით იღუპება არა მარტო ბარტყი,

არამედ თვით მსხვილი მოღალე, ფუ-
ტკარიც, რომელსაც მუცელი საშინ-
ლად ებერება. ეს სენიც გადამდებია,
თუმცა იმდენად საშიში-კი არაა, რო-
გორც სიდამპლე.

ამ სენის წინააღმდეგაც ისეთივე ზო-
მები იხმარება, როგორიც სიღამპლის
წინააღმდეგ.

მდ. ალ. ჯალიაშვილი

ჭინჭასი ანუ წიგნობელას ანთება (აპრილი)*

მსხვილფეხა მცოხნავ ცხოველებს
ზოგჯერ, სხვადასხვა მიზეზებისა გამო,
„ჭინჭა“ ანუ „წიგნობელი“ დაუსუსტ-
დებათ ხოლმე. დასუსტებული ჭინჭა
საჭმელს ველაზ ხარშავს. საჭმელი გრო-
ვდება მასში, ყროლდება, ეტენება მის
ფურცლებს შუა, ეკვრის მის კედლებს,
მაგრდება და აქედან ველაზ გადის.
ამით „ჭინჭა“ კიდევ უფრო მეტად
სუსტდება და ხდება ავად ანთებით:
მისი კედლები სივდებიან, შიგნიდან
კანი ეღლოსკებათ, ალაგ-ალაგ კიდე-
ვაც ჩირქდება.

ავადმყოფობის დასაწყისში ცხოვე-
ლი ალერლილია, მოძრაობა ეზარება,
საჭმელს უშადოთ სჭამს, მოსხლეტი-
ლად იცოხნის. მერე და მერე მოლად
აიკმენდავს როგორც ჭამას, ისე ცოხ-
ნასაც. ტანზედ აბურძეგნილია; უურე-
ბი ჩამოშვებული აქვს; უსიცოცხლოდ
გამოიყრება; სუნთქვა აჩქარებული
აქვს; როცა წევს კრუსუნებს, ან ხვე-
შის; მარცხენა ფერდი ზოგჯერ ამ-
ბერილი აქვს; ამ ალაგას ხელის დაწო-
ლით შევამჩნევთ, რომ ფაშვში ბევრი
საჭმელია მოგროვილი; წელზედ და
აგრედვე მარცხნივ უკანა ნეკნებზედ

ძირ-ძირ ხელის დაწოლას ვერ ჰგულბს,
ტკივილსა გრძნობს; ტანში შეკრულია;
განავალი წარმოადგენს პატარ-პატარა
კუმშებს შევი ფერისას, გარედან ლორ-
წო აქვს შემოკრული, ზოგჯერ ზედ
სისხლის ზოლებიც მისდევს. შარდზედ
გასვლის ღროს სწუხს, ცოტ-ცოტა
სდის. ცხოველი მეტად ხდება და სუსტ-
დება. ბოლოს შეიძლება ანთება კუ-
ჭისა სხვა ნაწილებზედაც გადავიდეს,
აგრედვე ნაწლევებზედაც, მაშინ ცხო-
ველს აუტყდება სასტიკი ფალარათობა.
ცხოველი კვდება. თუ ავადმყოფობის
წინააღმდეგ ღროზე იქმნა ზომები მი-
ღებული, შეიძლება ცხოველი მორ-
ჩეს.

ესეთი ავადმყოფობა მსხვილფეხა
მცოხნავ ცხოველებისა ხშირია ჩევრში
გაზაფხულზედ, უმეტესად პპრილში,
ამიტომ მისთვის ხალხს „აპრილა“
დაურქმევია. ხალხისავე აზრით ამისი
გამომწვევი მიზეზი „აპრილა ჭია“ უნდა
იყოს, რომელიც პპრილში ჩნდება.
ახალ გაზაფხულზედ მუხის ფოთლებს
დაასხდება ხოლმე პატარ-პატარა, მო-
ყვითალო ფერის ჭინჭის თესლის ტო-
ლა ბურთები, რომელნიც ფოთლის
სისქეში არინ გატარებულნი და თუ
დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ ისრ-

*) კუჭის აღწერილობა იხილე ჩემს წერილ-
ში: „მოსავალი“ - ს 1910 წ., 17 და 18 ქ.შ.

ნი თვით ფოთლისაგან არიან გაკეთებულნი: ფოთლის ზედა-ჰირი აბერილა ნახევარ ბურთად ზევით, ქვეითი ჰირი (სარჩული ფოთლისა) ჩამობერილა ნახევარ ბურთად ქვევით და ამნაირად შემდგარა მთელი ბურთი. ამ ბურთებაზე ირის მომწყველეული თითო პატარა ჭია, რომელსაც „აპრილა ჭია“-ს ეძახიან. ახალ გაზაფხულზე ნაზამთრი და ნახმელარი საქონელი ხარბათა სჭამს ახალ გამოსულ ხის ფოთლებსა და ყლორტებს, სხვათა შორის სჭამს მუხის ფოთლებსაც, რომლებთან ერთად ჩაჰვება ხოლმე „აპრილა ჭია“-ც და ხდება ავად „აპრილათი“, ესე იგი წიგნიბელას ანთებით.

ეს ავადმყოფობა შეიძლება აგრედვე გამოიწვიოს გაცივებით; ხმელი, მოუხეშავი და უნოყივრო საჭმელი, ან დაუღეჭავი და დაუნირწყვავი საჭმელით; დაობებული და დამპალი საჭმელსამელით; გამოიწვევს მას ისეთი მუხავე საჭმელიც, როგორიცაა მუხის ფოთლები და ყლორტები. მუხის წვენი შაბივით კრავს ხორცს და, თუ ცხოველი ამნაირი საჭმლით გაძლა რამდენჯერმე, სტომაქი მოეშლება, ტანში შეკრავს და მერე შეიძლება ისენაირად გახდეს ავად, როგორც ზევით ავწერეთ. „აპრილათი“ შეიძლება მაშინ გახდეს ცხოველი ავად, როგორც მას დაუსვენებლივ ამუშავებენ და ცოხნისათვის დროს არ აძლევენ.

ექიმობა. ცხოველი უნდა მოვათავსოთ სუფთა და გრილ ადგილის. საჭმელი უნდა ვაძლიოთ ცოტ-ცოტა, მაგრამ ხშირ-ხშირად, სუფთა და ჩბილი, აღვილად მოსანელებელი (თივა; ნედლი, დაჩეჩქვილი ქართოფილი; ქატო); სასმელად უნდა მიეცეს სუფთა

მარილიანი წყალი; წყალში ცოტა მოვალეობა ფქვილს თუ გავუთქვითავთ, კარგი იქნება; დასალევინებლად კარგია აგრედვე რე რე ან რძის შრატი.

ამის გარდა წამლად მივალებინებთ შემდეგს:

ნახევარ გირვანქა სელის თესლს დავასხამთ 4 ბოთლ მდუღარე წყალს, დავაცდით ნახევარ საათს, გავსწურავთ, მიეუმატებთ 2 მისხალს წყალნარევ მარილის სიმუავეს და დავალევინებთ თითო ბოთლს დღეში ოთხჯერ.

გაუკეთებთ ოყნას დღეში ოთხჯერ ცივი წყლით ან სელის თესლის გადმონახარშით ($\frac{1}{2}$ გირვანქა სელის თესლს დავასხამთ 6 ბოთლს მდუღარე წყალს, შევანელებთ და ვიხმართ), თუ ამ გადმონახარშის ცოტა ზეითუნის ზეთს ან საჭმელ ზეთს შეურევთ, კარგი რქნება. *)

თუ ამ საშუალებებით უკეთესობა არ დაეტყო ავადმყოფს, მაშინ ვიხმართ შემდეგს:

5 მისხალს საბურს, 30 მისხალს აბზინდა ბალას და 45 მისხალს გლაუბერის მარილს გაურევთ ერთად 3 ბოთლ წყალში და დავალევინებთ ცხოველს, თითო ბოთლს სამჯერ დღეში.

როცა ცხოველი მოკეთდება ცოტა და სტომაქი მოუღონიერდება, მივცემთ შემდეგს: გლაუბერის მარილი 10 მისხალი, აბზინდა ბალასის ფხვნილი 6 მისხალი, ნიშალური 4 მისხალი, ყველა ეს უნდა გავხსნათ ერთ ბოთლ წყალში, მიეუმატებთ ცოტა ფქვილს და ვასმევთ დღეში სამჯერ.

გრ. ცხადაძე

*) ოყნის გაცემბა იხილე ჩემს წერილში: „მოსაგალო“-ს 1910 წლის მე-6 №-ში.

გლეხ-კომპერატორის სახელმძღვანელო

(შემდეგი*)

II

საზოგადოების შედგენილობა

§ 10. საზოგადოება შესდგება საპატიო და ნამდვილ წევრთაგან, თანამშრომელთა და კორესპონდენტთაგან. წევრთა ოცხვი განსაზღვრული არ არის.

§ 11. საზოგადოების წევრობა შეუძლიანთ სქესისა და წოდების განუჩერებლად იმ პირთ, რომელიც მისდევნ ან დაინტერესებული არიან სასოფლო მეურნეობით, მცირე წლოვანების (გარდა საკლასო ჩინებას მქონეთა), სასწავლებლის შეგირდების, სამსახურში მყოფ ჯარის კაცების. იუნკრების და სასამართლოს მიერ უფლება შეზღუდულ პირების გამოყენებით.

III

წევრთა ამორჩევის წესი, მათი უფლებები და მოვალეობანი

§ 12. საპატიო წევრები ინჩევიან წლიურს კრებაზე, დახურულის კენჭის ყრით, საბჭოს წინადადებით, კრებაზე დამსწრე წევრთა $\frac{2}{3}$ ხმის უმეტესობით ის პირნი, რომელნაც ცნობილი არიან სასოფლო-სამეურნეო ასპარეზზე, ან რომელთაც საზოგადოებას გაუწიეს განსაკუთრებული სამსახური. საპატიო წევრნი განთავისუფლებული არიან სავალდებულო საუწევრო გარდასახადისაგან და არ ეწევიან არა-კონტაქტობით მოვალეობას გარდა თავიანთ ნებით ნაკისრ სამსახურისა, ამასთანავე ისინი სარგებლობების უფლებაზე იმ უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ ნამდვილს წევრს.

13. ნამდვილ წევრებად ამოირჩევიან ჩვეულებრივ კრებებზე დახურულის კენჭის ყრით, უბრალო ხმის უმეტესობით, საბჭოს ან . . . საპატიო და ნამდვილ წევრების წინადადებით ის პირნი, რომელნიც განაცხადებენ სურვილს საზოგადოების წევრობისას და რომელიც

წევდებით დადგენილს საწევრო გადასახადებს იყიდებენ. ნა ინტერესი არ არის.

შენიშვნა. ის პირნი, რომელიც ამ წევდების პროექტს წელს მოაწერს, ითვლებიან საზოგადოების დამაარსებლებათ და უკენჭოდ შედიან ნამდვილ წევრთა ოცხვაში.

§ 14. ნამდვილ წევრთა ჩაწერის დროს შეაქვთ . . . მანეთი და შემდეგ ყოველ წლივ საზოგადოების სასარგებლოდ იხდიან დაგვანილს ვადაზედ . . . მანეთს. წევრი, რომელიც ერთდროულად გადაიხდება . . . მანეთს, განთავისუფლება ყოველ წლიურ გაუსაზარისაგან (ასეთი წევრი სიკვდილამდე იწოდება ნამდვილ წევრად) შესატანი ფულის რაოდინობა შეიძლება შეცვლით იქმნეს თვით საზოგაოების მიერ.

§ 15. წევრი, რომელიც საზოგადოების მიერ დაგვანილ ვადამდე არ შეიტანს თავის კუთვნილს შესატანს ფულს, ითვლება წევრის წილდებისაგან განთავისუფლებული, მაგრამ, თუ გადაიხდის დარჩენილს ფულს, შეიძლება ახლად მიღებულ იქმნეს კენჭის უყრელად.

§ 16. კორესპონდენციელებათ და თანამშრომლებათ ამოირჩევიან იმავე წესით, რომლითაც ირჩევიან ნამდვილი წევრნი, ის პირნი (საზოგადოების სამოქადებო რაიონში მუდმივი ბინის არა მქონენი) რომელთა განმანათლებელი დახმარება ამა თუ იმ კითხვის გადაწყვეტის დროს სასარგებლო იქმნება საზოგადოებისათვის, და აგრეთვე უცალ ქვეყნების მეურნენი, რომელიც ცნობილი არიან თავიანთის მოღაწეობით სასოფლო-მეურნეობაში (რომელთაც შეუძლიანთ მიაწოდონ საზოგადოებას მის სამოქადებო საგნებზე სასარგებლო ცნობები და ასარულონ მისი დავალაბანი). წევრნი კორესპონდენციი და თანამშრომელნი ვალდებული არ არიან საზოგადოების სასარგებლოდ შესატან ფულის გადახდისა.

§ 17. წევრობის მზრუნველი უნდა განცხადებულ იქმნეს წინაკრებაზე, ვიდრე კენჭის ყრამისხდებითდე.

*) იხილე „მოსაფალი“ გვ. 7 №.

§ 18. წევრათ ამორჩეულს პირს ეცნობება წერილობით საბჭოს მიერ რომ იგი ამორჩეულია და მიიღებს წესდების ერთს ეკზელიარს, საზოგადოების მიერ მოხდენილ დადგენილებებს და აგრეთვე საზოგადოების წევრთა სიას.

§ 19. საზოგადოების წევრთ უფლება აქვთ მონაშილეობა მიიღონ მის კრებაზე: საპას ტიო და ნამდგილ წევრთ გადამწყვეტის ხმით (კორესპონდენტებს და თანამშრომლებს კი სათათბიროთი), მიმართონ საზოგადოების საშუალებით სხვადასხვა დაწესებულებებს და პირებს სასოფლო მუზეუმების შესახებ საგრძებზე და ისარგებლონ საზოგადოებასთან არსებულ დაწესებულებებით საბჭოს მიერ შემუშავებულის და საერთო კრებაზე მოწონებულის წესით.

§ 20. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება საჭიროდ იცნობს რომელიმე წევრის გამორიცხვას, ამის შესახებ კითხვა სწყდება იმ წესრიგით, რომელიც ნაჩენებია მე 41 წ.-ში.

IV
საზოგადოების გამებადობა, თანამდებობის შირნი, შათა უფლებანი და შოუადებანი.

§ 21. საზოგადოების საქმების მართვა-გამგება ევალ ება საპატიო და ნამდგილ წევრთა-გან ამორჩეულს საბჭოს. საბჭოს ბინაიქნება..

§ 22. საბჭო შესდგება თავმჯდომარისაგან, თვემჯდომარის ამხანაგისაგან, მდივნისა-გან, ხაზინადრისაგან და წევრებისაგან, რო-მელთა რიცხვსაც ადგენს თვით საზოგადოება. ხაზინადრის და მდივნის მოვალეობან შეიძლება მიენდოს საბჭოს რომელიმე წევრს.

§ 23. თანამდებობის პირი ამორჩევიან წლიურს კრებაზე, დაბურულის კენჭის ყრით, დამსწრე წევრთა უბრალო ხმის უმეტესობით ... წლით, მხოლოდ თანამდებობას ყველანი ერთ ტროს არ ანებებენ თავს. არამედ იმ თანდათანობით, რომელიც იქნება დადგენილო თვით საზოგადოების მიერ (საბჭოს რომელიმე წევრის ავადმყოფობის ან ხანგრძლივ სხვაგან ყოფნის შემთხვევისათვის იმავე კრებაზე ამორჩევიან თანამდებობის პირთა კანდიდატები... წლით). საბჭოდან გამოსულნი პირი შეიძლება ხელახლად იქმნენ ამორჩეული, თუ კი ამაზე თანხმობას განცრადებენ.

§ 24. თანამდებობის პირთა ამოსარჩევად კრებაზე დამსწრე წევრს შეაქვს ფარული ბარათით მის მიერ ყოველ თანამდებადისათვის წამოყენებულ კანდიდატის სახელი. წარდგენილი კანდიდატი იყრინან კენჭს და ამორჩეულად ითვლება ის, რომელიც მიიღებს მომეტებულს. რიცხვს ამორჩეველთა ხმებისას, მხოლოდ არა ნაკლებ დამსწრე წევრთა ხმების ნახევრისა.

§ 25. ამის და დამოუკიდებლად საზოგა-დოებას შეუძლიან ამორჩიოს იმ წეს-თ, რომელიც ნაჩენებია მე 41 წ.-ში, საპატიო თავმჯდომარე, რომელიც თავმჯდომარეობს, თუ მოისურვებს, საზოგადოების და საბჭოს კრებებზე, მხოლოდ იგი სხვა არავითარ ვალდებულებას არ ეწევა საზოგადოების წარნაშე.

ს. 1 კახელიძე

(შემდეგი იქნება)

პითევა-კასუები

პასუხი: ცხინვალის რაიონიდან ჩა-მოტანილი ვ. გ. მაჩაბლის მიერ ხარ-ბუზა არის ეგრედწოდებული Epicomelis hirta ანუ „ყვავილის ჭია“.

წამლობა: ხეხილებს უნდა შეესხუ-როს ყვავილის ჭიის წინააღმდეგ შემ-დეგი წამალი:

კარბოლის სიმუავე... 1 ბოთლი
თეთრი საპონი..... 2 გრძ.

წყალი ... 8 ვეღრა.

კარბოლინეუმი სასიკვდილოდ სწამ-ლავს ყვავილის ჭიის გარდა ამისა არც ამ საწამლავის სუნი მოსწონთ ამ ჭიებს და ამნაირად ერიდებიან მცე-ნარებს.

დევ წამალი ნუ იქნება მაგარი, მეტი წყალი გაურიეთ, ოლონდ შესურება ხდებოდეს ხმირ-ხშირად.

ა. როლოვი.

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე გ ა
შევენახეთა და შემამულეთა საქურადლებოდ

ამ ბოლო დროს ბაზარში გაჩნდა გასაყიდად გოგირდი ისეთ ზოლიან „მე-შოკებში“ და ისეთი იარლიკით, რომელიც გარეგნობით ძალიან წავიდა (ჩვენს ზოლიან „მეშოკს“ და „იარლიკს“). ამიტომ ვაფრთხილებთ პატივცემულ ჩვენს მუშტრებს უსათუოდ დააკვირდნენ და წაიკითხონ „მეშოკს“ „იარლიკზე“ აღნიშნული ჩვენი ვარი და ფირმა, ჩვენ მხოლოდ აჩვენი გოგირდის ღირ-სებაში ვაგებთ პასუხს.

მიწად-მოქმედების სამინისტროს ჭრის მიზანებით მიმდინარეობს

ტფილისი. მ. ე. ფრიდონოვი

კომისიონერი მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ს მინისტროსი

მ. ე. ფრიდონოვი ქ. ფილიშვილი

აცხადებს სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ, რომ მის საწყობიდან, მსუ-რკელთ შევძლიანთ შეიძინონ:

სუფთა შაბიაბანი საუკეთესო ინგლისის ფირმებისა— მაკელსფილდისა და სხვებისა 98—99% გარანტით;

გამოხდილი გოგირდი საკუთარი მარკისა და სხვა მირკებისა;

პარიჟის შინდა შვეინფურტის მწვანე ფხვნილი გოლენდლეის ფაბრი-კისა ლონდონში;

„ეკლერი, „შლეზინგერი“ და სხვა ფხინველები;

თამბაქოს გამონახადი (ექსტრაკტი);

გოგირდმეტიანი (პოლისულფიდები);

კარბოლინეუმი ავენარიუსი;

ქლორიანი ბარი;

ჭიის წებო; კვასია; რკინის შაბიაზანი; მწვანე საპონი; ლგინის ტანინი; აზბესტი; დელფინის ქონი; უელატინი ლენესი; რაფია.

ბალ-ვენახებში სახარებელი ყველანაირი იარაღები. ზურგზე ასკიდებელი და ცხენით სამუშავებელი აპარატები ვერმორელისა, პლატისი და სხვებისა.

ტორპილები, საბერველები და შაგენის აპარატები.

ყველანაირი იარაღები და აპარატები სახმარებელი სარდაფებში ღვინისა და ტკბილის შესამოწმებლად.

ყურძნის დასაწური საქაჯავები, საცენვები, პომპები და გუთნები საუკე-თესო ფირმებისა.

ხილის გასახმობი, კონსერვების მოსამზადებელი, ნედლი ხილის საგზად ჩასაწყობი იარაღები და მაშინები.

ხელოვნური ანუ მინერალური სასუქები.

სათიბი ბალახების თესლი, ფრანგული იონჯის თესლი თავდებობით.

ყველა ჩამოვთვლილ აეჯ-იარალ-მასალების გარდა ფირმა კისრულობს მებალებისა და მელვინეობისათვის და აგრედვე სხვა ყველა სასოფლო მეურ-ნეობაში საჭირო ავეჯ-იარალების გამოწერას.

ცნობების მისაღებად მსურველნი მიშართავენ ქ. ტფილისში მ. ე. ფრიდონოვს.

კატალოგები იგზვნება უფასოდ.

რედაქ.-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე